

საქართველოს სტანდარტი

რძე და რძის პროდუქტები – სავარაუდო *Escherichia coli*-ს
რაოდენობრივი აღრიცხვა –

ნაწილი 1:

უალბათესი რიცხვის მეთოდი 4-მეთილუმბელიფერილ-β-D-
გლუკურონიდის (მუგ) გამოყენებით

სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის
ეროვნული სააგენტო

თბილისი

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 3-ის „სასურსათო პროდუქტები“ მიერ.

2 მიღებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2017 წლის 21 დეკემბრის №101 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 3-ის „სასურსათო პროდუქტები“ გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო-ს) სტანდარტის ისო 11866-1 „რძე და რძის პროდუქტები – სავარაუდო *Escherichia coli*-ს რაოდენობრივი აღრიცხვა – ნაწილი 1 : უალბათესი რიცხვის მეთოდი 4-მეთილუმბელიფერილ-β-D-გლუკურონიდის (მუგ) გამოყენებით“ იდენტურ თარგმანს.

4 პირველად

5 რეგისტრირებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 2017 წლის 21 დეკემბერი №268-1.1-00349

II

დაუშვებელია წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი კვლავწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) წარმოადგენს სტანდარტების ეროვნული სააგენტოების (ისო-ს წევრი სააგენტოები) საერთაშორისო ფედერაციას. როგორც წესი, საერთაშორისო სტანდარტებს ამუშავებს ისო-ს ტექნიკური კომიტეტები. ისო-ს თითოეული წევრი სააგენტო უფლებამოსილია მონაწილეობდეს იმ ტექნიკურ კომიტეტის საქმიანობაში, რომელიც მისთვის საინტერესო თემაზე მუშაობს. აღნიშნულ სამუშაოებში ისო-სთან ერთად სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ. ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხთან დაკავშირებით ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ).

საერთაშორისო სტანდარტების პროექტები შემუშავებულია ისო/იეკ-ის დირექტივების მე-2 ნაწილში მოცემული წესების მიხედვით.

ტექნიკური კომიტეტების ძირითადი ამოცანაა საერთაშორისო სტანდარტების მომზადება. ტექნიკური კომიტეტების მიერ მიღებული საერთაშორისო სტანდარტების პროექტები კენჭისყრისათვის წევრ სააგენტოებს გადაეცემა. საერთაშორისო სტანდარტის გამოქვეყნებისთვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე წევრი სააგენტოების, სულ მცირე, 75%-ის მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტის ზოგიერთი დებულება შესაძლოა იყოს საავტორო უფლებების საგანი. ისო არ არის პასუხისმგებელი ყველა ან რომელიმე მსგავსი საავტორო უფლების ამოცნობაზე.

ისო 11866-1|IDF 170-1 მომზადდა ტექნიკური კომიტეტის, ისო/ტკ 34, სასურსათო პროდუქტების, ქვეკომიტეტის, ქკ 5, რძე და რძის პროდუქტების მიერ, მერძევეობის საერთაშორისო ფედერაციასთან (IDF) თანამშრომლობით. ქვეყნდება ერთობლივად ისო-სა და IDF-ის მიერ.

ისო 11866-1|IDF 170-1-ის წინამდებარე გამოცემა აუქმებს და ჩაანაცვლებს ისო 11866-2:1997-ს, რომელსაც ის ადგენს მცირეოდენი შესწორებებით.

ისო 11866-1:1997 გაუქმდა და ჩაენაცვლა ისო 7251:2005-ით, სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია – სავარაუდო Escherichia coli-ს გამოვლენისა და რაოდენობრივი აღრიცხვის ჰორიზონტალური მეთოდი – უალბათესი რიცხვის მეთოდი.

ისო 11866|IDF 170-ის საერთო სათაურია-რძე და რძის პროდუქტები – სავარაუდო Escherichia coli-ს რაოდენობრივი აღრიცხვა, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ნაწილი 1: უალბათესი რიცხვის მეთოდი 4-მეთილუმბელიფერილ-β-D-გლუკურონიდის (მუგ) გამოყენებით
- ნაწილი 2: კოლონიების დათვლის მეთოდი 44°C ტემპერატურაზე მემბრანების გამოყენებით

წინასიტყვაობა

IDF (მერძვეობის საერთაშორისო ფედერაცია) წარმოადგენს მერძვეობის სექტორის მსოფლიო ფედერაციას, ეროვნული სააგენტოებით ყოველ წევრ-ქვეყანაში. ყოველ ეროვნულ სააგენტოს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს IDF-ის მუდმივმოქმედ კომიტეტებში, რომლებიც ტექნიკურ სამუშაოს ასრულებს. IDF თანამშრომლობს ისო-თან რძისა და რძის პროდუქტების ნიმუშების აღებისა და ანალიზის სტანდარტული მეთოდების შესამუშავებლად.

მოქმედი ჯგუფებისა და მუდმივმოქმედი კომიტეტების მიერ მიღებული საერთაშორისო სტანდარტების კანონპროექტები გადაეცემა ეროვნულ სააგენტოებს კენჭისყრისთვის. საერთაშორისო სტანდარტის სახით გამოქვეყნებას ესაჭიროება კენჭისყრაში მონაწილე IDF-ის ეროვნული სააგენტოების, სულ მცირე, 50%-ის მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტის ზოგიერთი დებულება შესაძლოა იყოს საავტორო უფლებების საგანი. ისო არ არის პასუხისმგებელი ყველა ან რომელიმე მსგავსი საავტორო უფლების ამოცნობაზე.

ისო 11866-1|IDF 170-1 მომზადდა მერძვეობის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) ტექნიკური კომიტეტის ისო/ტკ 34, კვების პროდუქტები, ქვეკომიტეტი, SC 5, რძე და რძის პროდუქტები მიერ. ქვეყნდება ერთობლივად IDF-ისა და ისო-ს მიერ.

მთელი სამუშაო შესრულდა ისო/IDF/AOAC-ის (Association of Official Agricultural Chemists – ოფიციალურ აგროქიმიკოსთა ასოციაცია) პათოგენური დამაბინძურებლების (E102) ექსპერტთა ერთობლივი ჯგუფის მიერ, მისი ხელმძღვანელის ქ-ნ რ. ლოდის (იტალია) მხარდაჭერით.

ისო 11866-1|IDF 170-1-ის წინამდებარე გამოცემა აუქმებს და ჩაანაცვლებს ყოფილი IDF 170A:1999-ის ნაწილ 2-ს, მაშინ როცა ყოფილი ნაწილი 1 ჩაენაცვლა ისო 7251:2005-ით.

IV

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.